„ვფიქრობ, ეს გამოცდილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოგვადგება“

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, მარიკა ჩხიკვიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმყოფება.

ვიზიტის ფარგლებში, მასთან ერთად, ქართველი დელეგატები აშშ-ს ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პრინციპებს ეცნობიან. სამუშაო ვიზიტი აშშ-ს მიერ დაფინანსებული პროგრამა „**OPEN WORID**" (ღია სამყაროს) ფარგლებში მიმდინარეობს.

პროგრამაში ჩასართავად წარდგენილი იყო კანდიდატები სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, თუმცა საელჩომ მათგან მხოლოდ 5 დელეგატი შეარჩია.

მათ შორის ერთ-ერთი მარიკა ჩხიკვიშვილია. როგორც მან „ალიონთან" საუბარში განმარტა, პროგრამა ძალიან საინტერესოა.

–„ეს პროგრამა შესაძლებლობას მაძლევს, გავეცნოთ ისეთი ქვეყნის მუნიციპალიტეტების მართვის პრინციპებს, როგორიც ამერიკაა. აქ პირადად ვხვდებით მუნიციპალიტეტის მმართველ პირებს და ისინი სიამოვნებით გვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რაც, ვფიქრობ, ძალიან გამოგვადგება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სიახლეების დანერგვისათვის,“- ამბობს ჩხიკვიშვილი.

იგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებსაც უზიარებს ილინოისის შტატის ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებს.

–„მათ ვესაუბრე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე, ასევე გავაცანი იმის შესახებ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი, საქართველოში 2017 წელს ყველაზე ღია მუნიციპალიტეტად დასახელდა, ჩვენი საკრებულოს სხდომები პირდაპირ გადაიცემა, რაც მოქალაქეთა ჩართულობისა და ღიაობის პრინციპებიდან გამომდინარეობს.

ქართული დელეგაცია პალატინის პოლიციის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობას გავეცანით.

მოვინახულეთ მოხუცებულთა თავშესაფარი, დავესწარით ადგილობრივი საბჭოს (საკრებულოს) სხდომებს და გავეცანით მერის სამუშაო რეჟიმს.

გარდა ამისა, ღია სამყაროს დელეგაცია ჩიკაგოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში ვიმყოფებოდით. გავეცანით მათ საქმიანობას და ჯანდაცვის სფეროში მოქმედ პროგრამებს“

მარი ჩხიკვიშვილი ილინოისის შტატში ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პრინციპებსაც გვიზიარებს:

„ილინოისის შტატში საინტერესო იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობა სხვადასხვა დონეზე.

დავაკვირდით შაუმბურგის საბჭოს მუშაობას. შევხვდით სხვადასხვა თანამდებობის პირებს, რომლებმაც გაგვაცნეს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ და უპასუხეს ჩვენს შეკითხვებს.

მოვინახულეთ ჩიკაგოს მერია და შევხვდით მერის თანაშემწეს.

ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკის მაგალითი და სახელმწიფოებრივი მართვა. საუკეთესო მაგალითებია დეცენტრალიზაციის, სადაც თვითმართველობები სოფლების დონემდე არის ჩაშლილი. ყველა სოფელს ჰყავს საბჭო, რომელიც იკრიბება თვეში ორჯერ და ამტკიცებენ სხვადასხვა სახის აქტებს.

აღნიშნული პროგრამის მონაწილეებს ძალზედ საინტერესო სფეროების წარმომადგენლებთან მოგვიწია ურთიერთობა. დასამახსოვრებელი იყო ჩვენი ვიზიტი შაუმბურგის ბიბლიოთეკაში, რომელიც შტატში ერთ-ერთი დიდი და

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 37 (10282) 1 ოქტომბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

„კამპანია, რომელიც ჩემს წინააღმდეგ ტარდება, არის ქვეყნისათვის ძალიან დამაზიანებელი“

ალიონი.. 25 სექტემბერს, დაბა ურეკის კულტურის სახლში, საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა **სალომე ზურაბიშვილმა** ამომრჩევლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი **არჩილ თალაკვაძე** და პარლამენტარები **ზვიად კვაჭანტირაძე** და **თემურ ჭკუასელი** ესწრებოდნენ. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა სხვა თემებთან ერთად მის წინააღმდეგ გაჩაღებული პროვოკაციების და სიცრუის ტირაჟირებაზე ისაუბრა:

–„ყველა კუთხიდან მოდის ფოთში; მამაჩემმა, თავის ძმასთან ერთად, დააარსა ის ერთადერთი ქართული მართმადიდებლური ეკლესია მთელ თავისუფალ სამყაროში, სანამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგებოდა. ეს ადამიანები არა მხოლოდ დამოუკიდებლობის იდეას იცავდნენ, ასევე იცავდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რადგან ეკლესია, დამოუკიდებლობა, სახელმწიფო განუყოფელია ერთმანეთისგან საქართველოს ისტორიაში. შემთხვევითი არ არის ალბათ, რომ ეს კარგად ორგანიზებული კამპანია უტევს სამივე ელემენტს – ენას, მამულს, სარწმუნოებას“

სალომე ზურაბიშვილმა საზღვარგარეთ მის წინააღმდეგ აგორებულ დისკრედიტაციის მცდელობაზეც ისაუბრა:

–„პრაქტიკულად აზრი არ აქვს დაიწყო თავდაცვითი პასუხები, მაგრამ ერთი რამ არის კიდევ უფრო შემაწუხებელი და შემაშფოთებელი: ეს არის ის ნაწილი, რომელიც ვრცელდება საზღვარგარეთ. ბოლო 15-16 წლის მანძილზე ქართულმა საზოგადოებამ გამიცნო და მეტნაკლებად იცის, რა უნდა იფიქროს ჩემზე, მაგრამ ეს დისკრედიტაცია ვრცელდება გარეთ. იქაც მიცნობენ და ძნელია ჩემზე გაავრცელო აზრი, რომ ვარ პრორუსული, პუტინის ან ვინმეს აგენტი, მაგრამ ვრცელდება ბევრად უფრო რთული ტექსტი, რომ თურმე საქართველოში დღეს ორი ძალა არის დაპირისპირებული, რომელსაც აქვს ორი

გვ-3

უფასო პოლიტიკური რეკლამა

„პრეზიდენტმა, როცა უცხოეთში ჩავა, ხელი უნდა მოკიდოს ბიზნესმენს, ჩაისვას თვითმფრინავში და ჩამოიყვანოს“

ალიონი. „ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატს, **დავით ბაქრაძეს** ოზურგეთში გრანდიოზულად დახვდნენ. კულტურისა და დასვენების პარკის ამფითეატრი გადავსებული იყო მხარდამჭერებით,. დავით ბაქრაძე სცენაზე ავიდა, ტაში დაუკრეს, შეძახილები მიაგებეს,მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატმა „ტაში და გურული დახვდრა მერე,რამდენიმე წუთში, თავიდან შემოვალ და პირდაპირი ეთერის თანხლებით გაგაცნობთ ჩემს საარჩევნო პროგრამასო“. ნახევარ საათში ხელახლა შემოვიდა და ტაში და ოვაცია მართლა იყო პირვანდელზე მეტი.

„მიხარია, რომ გვაქვს შესაძლებლობა დავილაპარაკოთ იმაზე თუ როგორ უნდა შევძლოთ ყველა ჩვენგანმა, საქართველოს ხვალინდელი დღე იყოს უკეთესი, ყველამ ერთად შევცვალოთ ჩვენი ქვეყანა, ცხოვრება და მომავალი უკეთესობისკენ.“ – მიმართა ბაქრაძემ მხარდამჭერებს.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ზოგადად ისაუბრა არჩევნების მნიშვნელობასა და პრეზიდენტის უფლებებზე:

-რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნები? ბევრი ადამიანისგან მომისმენია, რომ აღარ აქვთ მომავლის რწმენა, იმდენად არ მოწონთ დღევანდელი ცხოვრება, და მთავრობა, რომ არ აპირებენ არჩევნებზე წასვლას. არჩევნები ეკუთვნის, პირველ რიგში, იმ ხალხს, რომელსაც არ მოწონს დღევანდელი ცხოვრება, გაჭირვება, ვინც მოატყუეს, საქმე არ გაუკეთეს, გვერდით არ დაუდგა მთავრობა, ვინც ხედავს, რომ ქვეყანა წინ ვერ მიდის და მისი ოჯახი უარესად ცხოვრობს. ამ ხალხს ეკუთვნის, პირველ რიგში, არჩევნები. და თუ ეს ხალხი არ წავა არჩევნებზე, სხვები გადაწყვეტენ მის მგავრად ხვალინდელი დღეს. ნუ მისცემთ მათ ამის საშუალებას.. არჩევნებზე არმისვლა არის მთავრობისთვის ნაჩუქარი ხმა.

რა შეიძლება კონკრეტულად გააკეთოს პრეზიდენტმა? იცით, რომ პრეზიდენტის უფლებები ბოლო წლებში ძალიან შეიზღუდა, მაგრამ პრეზიდენტს მაინც ბევრი რამე შეუძლია. მაგალითად, სამუშაო ადგილები. ვიღაცამ შეიძლება მითხრას, რომ პრეზიდენტს არ ეხება სამუშაო ადგილები. თუ ჩვენ გვეყოლება პრეზიდენტი, რომელიც კაბინეტში ჩაიკეტება და იტყვის, რომ კანონით სამუშაო ადგილები მე არ მეხება, მას მართლა კავშირი არ ეჭნება სამუშაო ადგილების შექმნასთან. მაგრამ როგორ შეიძლება პრეზიდენტს არ ეხებოდეს ყველაზე დიდი გაჭირვება, რაც ქვეყანაშია - უმუშევრობა. რათ გვინდა, მაშინ რისთვის ვირჩევთ ასეთ პრეზიდენტს? ამიტომ, კაბინეტში დამჯდარი პრეზიდენტი კი არ გვინდა, გვინდა ისეთი, რომელიც ყველა თავის ვიზიტს გამოიყენებს იმისთვის, რომ საქართველოში ჩამოიყვანოს მეტი ინვესტორი, მეტი ბიზნესმენი. როცა უცხოეთში ჩავა, ხელი უნდა მოკიდოს ბიზნესმენს, ჩაისვას თვითმფრინავში და საქართველოში ჩამოიყვანოს. ასე რომ ჩამოიყვანს ათს, ასს, ხუთი მაინც გახსნის რაღაცას და ხალხს დასაქმებს. - თქვა დავით ბაქრაძემ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ვფიქრობ, ეს გამოცდილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოგვადგება“

გამორჩეულია. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ენაზე არის წარმოდგენილი წიგნები. სამწუხაროდ, ქართული წიგნები ამ ბიბლიოთეკაში ვერ აღმოვაჩინეთ. რის შემდეგაც გადაწყვეტილება მივიღე საქართველოში დაბრუნების შემდეგ

ჩიკაგოს, შაუმბურგის ბიბლიოთეკაში წიგნები გამოვაგზავნო. მოგეხსენებათ,ჩიკაგოში ბევრი ქართველი ცხოვრობს და ძალზე გაუხარდებათ მათ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის და ჩემი გადაწყვეტილების შესახებ.

მნიშვნელოვანია ქართული ენის, კულტურის და ქვეყნის გაცნობა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის. ძალიან გამიხარდა,როდესაც ჩიკაგოს ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო ცენტრში ქართული პროდუქცია ვიხილე.

პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მოსმენის შემდეფ ჩვენმა დელეგაციამ მერიის წარმომადგენლებს გავაცანით ჩვენი მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ.მე ვისაუბრე ზოგადად გურიაზე, ოზურგეთზე ტურისტული კუთხით, პრობლემებზე და იმ მიღწევებზე, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გააჩნია. მოგეხსენებათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 2017 წლის ყველაზე ღია მუნიციპალიტეტად დას-ახელდა. - ის პრინციპები და მათი განხორციელება ჩემს მუნიციპა-ლიტეტში დადებითად შეფასდა მასპინძელი მხარის მხრიდან. გა-ნსაკუთრებით დააინტერესება გამოიწვია საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლაციამ.რომელიც მოქალ-აქეთა ჩართულობას ზრდის და მმართველობის კარგი მაგალითია.

‚**OPEN WORID**" (ღია სამყაროს) პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები გრძელდება და ვფიქრობ, ნაყოფიერი იქნება ეს ვიზიტი ამერიკაში, რომელიც განვითარებადია და ამ პროგრამაში მონაწილე დელეგატებს საშუალება გვექნება მივიღოთ მონაწილეობა აშშ-ს საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში, რომელიც უშუალოდ პროგრამის მონაწილეებისთვის ცხადდება ,რაც საშუალებას გვაძლევს,წარდგენილო პროექტის დაფინანსების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში განვახორციელო პროექტი,რომელიც განავითარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტს“-გვიპასუხა მარიკა ჩხიკვიშვილმა.

გუბერნატორმა „ოზურგეთ დენიმი“ დაათვალიერა

გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ** ოზურგეთის სამკერვალო ფაბრიკა „ოზურგეთ დენიმი“ 25 სექტემბერს დაათვალიერა.

შპს „ოზურგეთ დენიმი“ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ოზურგეთში მსოფლიოში ცნობილი ბრენდების „ზარა“, „მანგოს“, „ბერშკას“, „მასიმო დუტის“, „ესპრიტის“ და ა.შ. ჯინსებს შეკერავს.

ფაბრიკამ სატესტო რეჟიმში უკვე დაიწყო ფუნქციონირება და გასატანად პირველი შეკვეთაც მზად არის. ამ ეტაპზე 150-მდე მკერავია დასაქმებული და ოფიციალურ გახსნამდე მათი რაოდენობა 300-მდე გაიზრდება.

„ოზურგეთ დენიმში“ გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, თავის მოადგილესთან გიორგი თურმანიძესთან ერთად მივიდა. „დავათვალიერეთ ფაბრიკა და გავეცანით როგორ მიმდინარეობს სამკერვალო პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში ასეთი მოცულობის უცხოური ინვესტიცია ხორციელდება, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ეს იქნება ერთგვარი გარანტის და სტაბილურობის მანიშნებელი სხვა ინვესტორებისთვის, რომ გურია სწორედ ის რეგიონია, სადაც ღირს ინვესტირება და ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც, ერთი მხრივ, მოგებას მოუტანს ბიზნესს და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ გაძლიერებას“ - აღნიშნა ზურაბ ნასარაიამ.

ინგოროყვას ქუჩის რეაბილიტაცია

ქალაქ ოზურგეთში ინგოროყვას ქუჩის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია. მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული გზა წლების მანძილზე ამორტიზებული იყო, რის გამოც სამანქანო მოძრაობა ფერხდებოდა.

გზის რეაბილიტაციის პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე გაეცნო.

პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

სამუშაოებს, რომელიც დეკემბერში დამთავრდება, შპს „ფემინიკონსტრაქშენგრუპი" აწარმოებს.

შეხვედრა ნორვეგიის დელეგაციასთან

გასულ ხუთშაბათს, გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია** ნორვეგიის ელჩის მოადგილეს **ვეგარდ სტრენსრელს,** ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, **კრისტინ აგნეტა ვაჰლბერგს** და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს **დავით მელუას** შეხვდა.

როგორც შეხვედრაზე ელჩის მოადგილემ აღნიშნა, ის პირველად იმყოფება გურიაში და ვიზიტის მიზანს, ათეასთან ერთად განხორციელებული პროექტების შედეგების გაცნობა წარმოადგენს, რომელთა მიზანს ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება წარმოადგენდა.

„დღევანდელ შეხვედრაზე ვისაუბრეთ ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების პერსპექტივებზე და ნორვეგიული მხარის დახმარების მიმართულებებზე, რომელიც მოიცავს, როგორც ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მხარდაჭერას, ასევე განახლებადი ენერგიის და თვითმართველობის გაძლიერების პროექტების განხორციელებას. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სწორედ ახლა მიმდინარეობს ნორვეგია-საქართველოს თანამშრომლობის ახალი ხუთწლიანი გეგმის შემუშავება, სადაც ჩვენი რეგიონიც აქტიურად იქნება ჩართული “ - აღნიშნა ზურაბ ნასარაიამ.

შეხვედრას გუბერნატორის მოადგილე, ადმინისტრაციის თანამშრომლები და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნორვეგიელთა დელეგაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერსაც შეხვდა.

27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით და საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა ხსოვნის პატივსაცემად, მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

გურიის გუბერნატორი, ზურაბ ნასარაია - *„ჩვენი ქვეყნისთვის, რეგიონისთვის ტკივილიანი და მძიმე დღე, სოხუმის დაცემიდან 25 წელი გავიდა. საბრძოლო მოქმედებების დროს გურიიდან 40 ჯარისკაცი დაიღუპა და უგზო-უკვლოდ სამი მებრძოლი დაიკარგა. დღეს ჩვენ გავიხსენეთ ის გმირები, რომლებმაც ქვეყნისთვის თავი გაწირეს, პატივი მივაგეთ მათ ხსოვნას და მივუსამძიმრეთ დაღუპულთა ოჯახებს. ქედს ვიხრი ჩვენი მებრძოლების ხსოვნის წინაშე, მათ თავდადებას არასოდეს დავივიწყებთ“.*

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა.

ცვლილებები გურიის გუბერნიაში

გურიის ახალ ვიცე-გუბერნატორად ყოფილი ძალოვანი **გიორგი თურმანიძე** დაინიშნა. მან ამ პოსტზე ქეთი მოისწრაფიშვილი შეცვალა.

ქეთი მოისწრაფიშვილი არჩილ ყაზაიშვილს შეცვლის, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაკავებული თანამდებობიდან გადადგა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები

საქართველოს პრეზიდენტობის 50-მდე კანდიდატიდან ცეესკომ რეგისტრაციაში გაატარა და არჩევნებში მონაწილეობის ნება დართო 25 კანდიდატს. მაშ ასე, საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც 28 ოქტომბერს გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი კანდიდატები:

1. **დავით ბაქრაძე** („ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“), №2;
2. **ზვიად ბალდავაძე** (სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო), №27;
3. **მიხეილ სალუაშვილი** (პ/გ სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა -„უფალია ჩვენი სიმართლე“), №28
4. **შალვა ნათელაშვილი** („საქართველო ლეიბორისტული პარტია“), №10;
5. **ირაკლი გორგაძე** (პ/გ „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“),№23;
6. **გრიგოლ ვაშაძე** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) №5;
7. **გიორგი ლილუაშვილი** (პ/გ პარტია „საქართველო“), №17;
8. **სალომე ზურაბიშვილ**ი (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი),№48;
9. **ზვიად მეხატიშვილი** (პ/გ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“) №13;
10. **ვახტანგ გაბუნია** (პ/გ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“), №4;
11. **დავით უსუფაშვილი** („თავისუფალი დემოკრატები“), №25;
12. **ბესარიონ თედიაშვილი** (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი), №49;
13. **ლევან ჩხეიძე** (პ./გ „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“),№40;
14. **ზვიად იაშვილი** (პ/გ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ (ედპ), № 30;
15. **ზურაბ ჯაფარიძე** („გირჩი“), №36;
16. **აკაკი ასათიანი** („ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“).№18;
17. **გელა ხუციშვილი** (პ/გ „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“), №35;
18. **კახა კუკავა** (პ/გ „თავისუფალი საქართველო“), №21;
19. **თამარ ცხორაგაული** (პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“), №31;
20. **გიორგი ანდრიაძე** (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი), №51;
21. **ვლადიმერ ნონიკაშვილი** (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი), №62;
22. **კახაბერ ჭიჭინაძე** (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი) №58;
23. **მიხეილ ანთაძე** („მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“), №1;
24. **ოთარ მეუნარგია** („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“), №22;
25. **თეიმურაზ შაშიაშვილი** (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი), № 65.

„კამპანია, რომელიც ჩემს წინაალმდეგ ტარდება, არის ქვეყნისათვის ძალიან დამაზიანებელი“

სხვადასხვა ნარატივი ომზე, რომ ერთი იცავს რუსულ ვერსიებს და მეორე ქართულს თუ პატრიოტულს; რომ საქართველოში ამ თემებზე არის ბუნდოვნება. ეს გარეთ გატანილი არის საზიანო ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის და მისი მომავლისთვის. სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ ვდგამთ ნაბიჯებს და ვიტყოდი ბოლო ნაბიჯებს ევროკავშირისკენ, ნატოსკენ. როცა იქ ჩვენს საყრდენს უტევენ და უცხოელებისთვის საქართველო რაღაც სხვანაირად გამოიყურება, ეს შეიძლება იყოს ძალიან მძიმე შედეგის მომტანი. მე მახსენდება ჩვენი ისტორიის ის მომენტი, დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-1920 წლებში: უცხოელებს ჰყავდათ კონსულები და აკვირდებოდნენ საქართველოს, და ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ძალები საქართველოში დამოუკიდებლობის მიმართ ისეთი მყარები არ იყვნენ, ზოგი თვლიდა, რომ „ძმაა რუსეთი“, „ძმაა ინტერნაციონალი“ და ა.შ. ამან შემოიტანა გაურკვევლობა ჩვენ ევროპულ პარტნიორებში და ცოტაოდენ დააგვიანა იმ დახმარებამ, რომელიც უნდა შემოსულიყო 1921 წლის თებერვალში, როგორც კი მეთერთმეტე არმიამ დაიწყო შემოსვლა საქართველოში. იმ დროს თქმა, რომ რუსეთი ბევრად ძლიერი იყო საქართველოზე და გარდაუვალი იყო დამარცხება, არ იყო სწორი. იმ დროს მე-11 არმია იყო საწყის ეტაპზე და რესურსები აკლდათ. ასე, რომ ბრძოლას აზრი ჰქონდა, მაგრამ ის დახმარება, რაც ჩვენი ჯარებისთვის აუცილებელი იყო, წამოვიდა გვიან, როცა უკვე ჯარი უკან დახეული იყო და ბრძოლა დამთავრებული.. ამიტომ, ეს კამპანია, რომელიც ტარდება საზღვარგარეთ, არჩევნების გამო, მაგრამ სინამდვილეში არის ქვეყნისთვის ძალიან დამაზიანებელი, ჩემთვის მიუღებელია. დანარჩენს ვიტან, ავიტან და ამის მიუხედავად გავიმარჯვებთ ერთად.

მეორე შედეგი ამ უაზრო კამპანიის არის დამაზიანებელი უკვე შიგნით, ჩვენი პოლიტიკური მომავლისთვის. საქმე იცით რაშია, პრაქტიკულად ის სერიოზული თემები, რაც უნდა მოვიტანო თქვენამდე, რაც უნდა იყოს კამპანიის თემები, პრიორიტეტები და ბევრი რამე ასახსნელი თუ როგორი პრეზიდენტი ვიქნები ამის მოტანა თქვენამდე ჭირს, რადგან აგერ ხედავთ ტელევიზიებს, ვითომ დგანან და იწერენ. სინამდვილეში რას იწერენ, როგორც კი ვინმე გამოვარდება მოვარდებიან ტელევიზიები, გაჰყვებიან გარეთ იქ, შეეკითხებიან, რა გინდოდათ და მერე სხვებს დაუსვამენ კითხვას, რა მნიშვნელობა ჰქონდა ვითომცდა ამ სკანდალურ მოვლენას.

ეს მეორდება პრაქტიკულად ყველა შეხვედრის დროს. ან მე მეკითხებიან მართლა მოღალატე ხართ? დაახლოებით ასეთი კითხვებია ძალიან „შინაარსიანი“. თუნდაც ისეთი ტელევიზიებიდან, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებას და რომლისგანაც თქვენ ალბად ელოდებით, მოიტანონ თქვენამდე საარჩევნო კამპანიის თემები და შესაძლებლობა გქონდეთ, შეადაროთ კანდიდატების თემები ერთმანეთთან. ეს არის დემოკრატიაში არჩევნების არსი. როგორც კი ეს შეუძლებელი ხდება, სივრცე აღარ არის, სადაც შეიძლება დისკუსია შედგეს. ალბათ ამით ღარიბდება ჩვენი საარჩევნო კამპანია. და თუ საარჩევნო კამპანია ღარიბდება, ღარიბდება ასევე ჩვენი დემოკრატია. და ეს არის ძალიან სამწუხარო. მას თქვენ უფრო კარგად გაიგებთ, ვიდრე სხვა, რადგან გურული საზოგადოება არის პოლიტიკურად სხვანაირად მომზადებული.

ეს არის ცოცხალი საზოგადოება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ყველაზე უფრო გვაკლია და ეს არის შედეგი იმ რეჟიმის, რომელიც იყო ადრე საბჭოთა კავშირის დროს. თუმცა იქაც იყო საშუალება, რაღაც ფორმით ყოფილიყო პოლიტიკური დისკუსიები, აზრთა გაცვლა, კრიტიკული აზრები და იმის ანალიზი რა ხდებოდა რეალურად და რაც იყო მოტანილი მხოლოდ ოფიციალური საინფორმაციო არხებით. გურია ყოველთვის იყო ცნობილი ამით, თავისი თავისუფლებით,“ – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა.. გამოსვლისას.

ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი?

„ისე, რომელიც არჩეული გვყავდა, რომელიმემ ჰქნა ხეირი?“

მარი კოკოევი

არჩევნებამდე 27 დღით ადრე ამ არც თუ ისე მარტივ კითხვაზე (კენჭს 25 პრეზიდენტობის კანდიდატი იყრის) ოზურგეთელები ასეთ პასუხებს იძლევიან:



ომარ გირკელიძე: – ზურაბიშვილი, მთავრობა უჭერს მხარს და იმიტომ.

ზაალ ვადაჭკორია: – არ ვიცი, ვინ გახდება პრეზიდენტი. არც მე მიმიღია გადაწყვეტილება, ვის მივცემ ხმას.



ბადრი ჯაფარიძე: – რათ უნდა ლაპარაკი, ზურაბიშვილი რომ გახდება, ვითომ დამოუკიდებელია, სინამდვილეში „ოცნების“ კანდიდატია.

თამაზ ბოლქვაძე: მე არც ერთი კანდიდატი არ მომწონს, მარა ნათელაშვილი თუ გაიმარჯვებს, კარგი იქნება. რატომ არ მომწონს და ისეთ დაპირებებს იძლევიან, რომ არც ერთი არ შესრულდება. რა უფლებები აქვს პრეზიდენტს, რომ იძახიან პენსიას გავზრდით, ხელფასებს მოგიმატებთო? მაგი არც ერთი არ შედის პრეზიდენტის უფლებებში.

ზაზა ჩავლეშვილი: – კანდიდატები ვინაა, ისიც არ ვიცი. ბახმაროდან ჩამოვედი ამ წუთში, იქ არც შუქი იყო და არც ტელევიზორი.



ენვერ ბერსენაძე: არ ვიცი ვინ გახდება, ვერც იმას გეტყვით, ვის მივცემ ხმას.

ნათია კიკვაძე: არ ვიცი. ჩემთვის სულერთია.

დავით ენდელაძე: რა ვიცი, ერთი მაგათიც... ჩვენდა რომელი იქნება, იგი მითხარი. არჩევანი შეიძლება

გვ-4

უცნობი: – რა ვიცი? შემეშვით, ისედაც ნერვები მაქ მოშლილი, ადიდებულმა წყალმა წეიღო მაგინი.

„ეს რეფორმა არაა“

ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ სკოლამდელი აღზრდისა და და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის თემაზე 5 საკითხი განიხილა და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად. საკითხები მუნიციპალიტეტის მერიის ადრეული სკოლამდელი აღზრდის განყოფილების გამგე **თემურ მოქიამ** წარმოადგინა.

პირველი კამათი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების თემამ გამოიწვია. პროექტში აღნიშნულია, რომ *„საჯარო დაწესებულების დირექტორს: ა) აქვს უმაღლესი განათლება ნებისმიერ დარგში, ან პროფესიული განათლება ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგში.“* იყო აზრთა სხვადასხვაობა ამ თემაზე, მაგრამ საბოლოოდ წარმოდგენილ ვარიანტზე შეთანხმდნენ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია თუ ვინ უხელმძღვანელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაფუძნებულ 43 იურიდიულ პირს –სბავშვო ბაღებს: მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური, როგორც ეს რეფორმის პროექტითაა განსაზღვრული, თუ კვლავ სახეშეცვლილი ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანება“.

–როგორ გვინდა, ავტორიზაციაც გვინდა, მეთოდური ხელმძღვანელიც და ცენტრიც იქნება? – ეს კითხვა დასვა საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისთვის“ თავმჯდომარემ, პროფესიით იურისტმა **შოთა გოგიბერიძემ.**

დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე: –ეი. ცენტრი არ იქნება..

ირაკლი სირაძე. მერის მოადგილე: –ცენტრი უნდა იყოს და შევუთავსოთ მას მონიტორინგის უფლება. სტრუქტურული ერთეულის ნაცვლად იქნება ა(ა)იპ;

ენვერ ჯაფარიძე, საკრებულოს იურისტი: –არ იქნება სწორი, შენიშვნას მოგვცემენ.

შოთა გოგიბერიძე: –თუ ყველა ბაღი ა(ა)იპად ყალიბდება, რა ფუნქცია ექნება ა (ა)იპ „ოზურგეთის ბაღების გაერთიანებას?“ თუ ბიუჯეტში თანხების ეკონომიაზე ვფიქრობთ, ზედმეტი ხარჯი არ გვინდა, არ უნდა იყოს იგი...

თემურ მოქია:– მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური გაუწევს ბაღებს ზედამხედველობას....

გიორგი ღურჯუმელიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: –მონიტორინგს ვინ განახორციელებს?

ლავრენტი ბიგვავა, კომისიის თავმჯდომარე: –ამ შემთხვევაში მონიტორინგის ფუნქცია ცენტს ექნება, მაგრამ იგი არ უნდა გადაიქცეს დასაქმების ბუდედ.

გიორგი ღურჯუმელიძე:–ეი. 7-8 კაციანი სამსახური იქნება?

შოთა გოგიბერიძე: –მაკონტროლებელი ფუნქციით აღჭურვილი კიდევ ერთი ორგანიზებული კორუფციის წყარო იქნება? კონტროლს თუ ავიცილებთ, კარგი იქნება, მაგრამ უნდა შეიქმნას ჯგუფი. მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი ფუნქცია - სკოლამდელი აღზრდაა. რაც წარმოადგინეთ, ეს რეფორმაა არაა. ერთი ანეგდოტი მახსენდება: „ქმარმა ცოლს უღალატა და ცოლს მიმართავს: ე, ქალო, მოიფიქრე რაიმე, თორემ დაგვენგრა ოჯახიო..“.

თემურ მოქია: –სანამ არ იქნება ავტორიზაციის წესი და ტექნიკური რეგლამენტი, მანამ დეტალებზე საუბარი ძნელია...

მოკლედ, ბაღების რეფორმაზე დებატების მორიგი რაუნდი ზეგ, საკრებულოს სხდომაზე გაიმართება.

ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი?

„ისე, რომელიც არჩეული გვყავდა, რომელიმემ ჰქნა ხეირი?“

გააკეთო ცუდსა და კარგს შორის და არა მაშინ, როცა ყველა ცუდია.

უცნობი: არ ვიცი ნამდვილად. პოლიტიკაში არ ვერევი. შეიძლება სალომე ზურაბიშვილი.

შუშანა დუმბაძე: არ ვიცი ვინ გახდება პრეზიდენტი. არც რჩეული მყავს. ისე, რომელიც არჩეული გვყავდა, რომელიმემ ჰქნა ხეირი?

ლევან ფრანგიშვილი: საქართველოს პრეზიდენტი გახდება ნათელაშვილი.

მზექალა გურგენაძე: ვერ გეტყვით. ორი კანდიდატიდან ერთ-ერთი – ან დავით ბაქრაძე ან გიორგი ვაშაძე.

ახალი სასწავლო წელიწადი და სკოლები

ლელა იმედაშვილი „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მასწავლებლის არჩევანს შეესამება სახელმძღვანელო

როგორია ჩვენი სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შინაარსობრივი მხარე? - ამ შეკითხვით მივმართეთ ლელა იმედაშვილს, ოზურგეთის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელს.

მისი ინფორმაციით ახალი სასწავლო წელი დაიწყო მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა ანუ 42 საჯარო და 2 სასულიერო სკოლაში.

ლელა იმედაშვილი: ძიმითის კოხას თემის დაწყებითი სკოლა და მისი 17 მოსწავლე ახალ წელს შეხვდა სრულიად ახალი შენობით, ძალიან თანამდეროვე ტექნიკით აღჭურვილი, რაზედაც სახელმწიფომ დაახლოებით 750 000 ლარი დახარჯა. ეს პროექტი დააფინანსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

ახალ სასწავლო წელს შეხვდა მიმდინარე რემონტით ძიმითის ძირითადი საჯარო სკოლა, მილენიუმის პროგრამით შენობის, სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სკოლა გადასულია ალტერნატიულ ფართში. ამავე პრგრამით მიმდინარეობს დაბა ლაითურის სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ისიც ფუნქციონირებს ალტერნატიულ ფართში.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა დააფინანსა მცირე გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები 100 000 ლარის ფარგლებში 22 სკოლაში, ზოგან სარემონტო თახები დამატებით მოძიებული იქნა სკოლის ბიუჯეტიდან.

უმოკლეს ხანში დასრულდება ჭანიეთის სკოლის მშენებლობა და გაიხსნება საზეიმო ვითარებაში.

მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც გვრჩება, ასაშენებელია ეკალდიდისა და მზიანის დაწყებითი სკოლები, რაც უნდა დაიგეგმოს მიმდინარე სასწავლო წელს. ასევე აუცილებლად სჭირდება ჩვენს სკოლებს ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით სერიოზული სამუშაოები, რომელიც იმედია 2019 წლის ბიუჯეტიდან იქნება გათვალისწინებული.

საჭიროა სერიოზული ფინანსური რესურსები და ცენტრალური ხელისუფლების დახმარება. საქმის კურსში გვყავს ადგილობრივი ხელისუფლება, მხარის ადმინისტრაცია. გუბერნატორი ბატონი ზურაბ ნასარია თავად დაინტერესდა ამით, გამზადებული გვაქვს წინადადებათა პაკეტი, რომელითაც იგი მთავრობის წინაშე წარსდგება. ლოკალურ, მცირე პრობლემებს სკოლები საკუთარი სახსრებითაც აგვარებენ.“

ქალბატონი ლელას ინფორმაციით წლეულს პირველკლასელთა რაოდენობა უტოლდება შარშანდელს:

„ – წელს გვყავს 670 პირველკლასელი, დახლოებით იმდენივე რაც შარშან. მათ და მათ პედაგოგებს გადაეცათ კომპიუტერები. 1-6 კლასის დაახლეიბით 4000-სზე მეტმა მოსწავლემ საჩუქრად მიიღო სრულიად ახალი წიგნები და რვეულები სახელმწიფოსაგან.“

7-12 კლასელების ახალი სახელმძღვანელოებისათვის წელს გრიფის მინიჭების პროცესი არ შემდგარა და ამიტომ მათ გადაეცათ წიგნები სკოლის ბიბლიოთეკიდან.

რაც შეეხება სწავლების ხარისხს, ქალბატონი ლელას შეფასებით სწავლება არის ხარისხიანი, რადგან ეროვნული გამოცდების შედეგები არის წარმატებული, გვყავს 12 სტუდენტი 100 პროცენტიანი დაფინასებით და 50-60 სტუდენტი 70-50 პროცენტიანი გრანტით.

„ – ასევე, წარმატებებია მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მხრივაც, 135 მასწავლებელი გახდა უფროსი მასწავლებელი, 4 წამყვანი მასწავლებელი, ერთი მენტორი, რომლებსაც შესაბამისად გაეზარდათ ანაზღაურება.

ნოებრის ბოლოს გაიმართება მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია, სადაც მოხდება მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება. ასევე ნომბერში გაიმართება მასწავლებელთა და მოსწავლეთა შექმნილი სასწავლო რესურსების გამოფენა.“

– არის საუბრები, რომ სკოლებში მასწავლებლებმა ვერ მიიღეს თავიანთი არჩეული წიგნები.

– გამორიცხულია, რომ მასწავლებელმა სხვა წიგნი გამოიწეროს და სხვა მიეღოს. მათ პრიორიტეტებად უნდა დაელაგებინათ თითოეულ საგანში მოთხოვნილი წიგნები და შესაძლოა, ვინმემ ვერ მიიღო პირველი პრიორიტეტის წიგნი და მიიღო მეორე ან მესამე, რადგან საერთო ჯამში ამ წიგნზე მოთხოვნამ ვერ გადალახა ის ზღვრული რაოდენობა, რაც გამომცემლობისათვის იყო საჭირო შეკვეთის განსახორციელებლად.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მათ არჩევანის გაკეთებამდე აქვთ საშუალება ნახონ ელექტრონული წიგნები. მასწავლებლის არჩევანს შეესამება სახელმძღვანელო და თუ ეს ასე არ არის, მჭირდება კონკრეტული ფაქტი.

– არჩევნები ახლოვდება და პედაგოგთა პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებაზეც უნდა გკითხოთ, ხდება მათზე ზეწოლა?

– ზოგადად, მასწავლებელი პოლიტიკურ წნეხს არ განიცდის რესურსცენტრისაგან და სახელმწიფოსაგან. მასწავლებელი არის მოქალაქე, რომელსაც უფლება აქვს გააკეთოს საკუთარი, დამოუკიდებელი არჩევანი. სკოლა თავისუფალია პოლიტიკისაგან.

– ახლახან თბილისში კონფერენციაზე ბრძანდებოდით...

– სამი წელიწადია მიმდინარეობს მილენიუმის პროგრამა, რომელიც სკოლის ინფრასტრუქტურულ მოწყობასთან ერთად ლიდერების — დირექტორებისა და ფასილიტატორების გადამზადებას ახდენდა. ფასილიტატორების სტატუსები პედაგოგებს აქვთ. ყოველწლიურად ტარდებოდა ქვეყნის მასშტაბით კონფერენციები, სადაც დირექტორები გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. პროექტი დასრულდა და ჩვენთვის საამაყოა, რომ ბოლო, შემაჯამებელ კონფერენციაზე, სადაც სულ ცხრა მომსხსენებელი გამოდიოდა, მომხსენებელი იყო ბახვის სკოლის დირექტორი მზია ვაშალომიძე, რომელიც წელს წამყვანი მასწავლებელი გახდა. კარიერულ წინსვლას ვულოცავ ყველა პედაგოგს ოზურგეთის საგანმანათლებლო სივრცეში. სააყო შედეგებია. იმედი მაქვს ეს შედეგი კიდევ უფრო მეტი შრომით, საკლასო ოთახებში, ჩვენს მოსწავლეებზე აისახება. წინ დიდი გამოწვევები და საინტერესო სასწავლო წელი გველოდება

P.S. წიგნის არჩევანისა და რეალური შემოთავაზების თაობაზე კონკრეტულ მაგალითს ვერ შემოგთავაზებთ, მაგრამ რამდენიმე სკოლის პედაგოგებმა დამიდასტურეს, რომ მათ სხვა წიგნები მოუვიდათ. მიიჩნევენ, რომ პირველკლასელთა „დედაენაში“, შეუსაბამო ილუსტრაციებია... წიგნის გამომცემლებიც ადასტურებენ, რომ სახელმწიფომ შესრულებული შეკვეთები აღარ დააფინანსა...

ლია კილაძე

მალთეფეს ფესტივალი და თეატრის გეგმები

ოზურგეთის თეატრი ახლახანს დაბრუნდა თურქეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალიდან, მალე სპექტაკლის პრემიერა შედგება, თეატრში 8-12 კლასელთათვის სტუდია ამოქმედდება... ამ ყველაფერზე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვასილ ჩიგოგიძე გვესაუბრება.

ვასო ჩიგოგიძე, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი: „ - მალთეფე სტამბულის ერთ-ერთი ცენტრალური რაიონია ნახევარ მილიონზე მეტი მოსახლეობით, სადაც ჩატარდა პირველი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომლის ძირითადი ლოკაცია იყო ათა თურქის სახელობის სასახლე და სხვადასხვა თეატრი, მათ შორის ქუჩაც, სადაც იმართებოდა ქუჩის თეატრის წარმოდგენები.

ფესტივალის დაფუძნების ინიციატორი გახლავთ მალთეფეს მერი, ბატონი ალი კილიჩი, რომლის სახელი და გვარიც არის მითითებული ფესტივალის სამახსოვრო პრიზზე, რომელიც ყველა მონაწილე თეატრს გადმოგვეცა. პრიზზე სიცოცხლის ხეა გამოსახული.

ფესტივალში მონაწილეობდა უცხოეთის რვა ქვეყანა: საქართველო, სერბია, უკრაინა, აზერბაიჯანი, ირანი და სხვა. დანარჩენი იყო თურქეთის თეატრები, სულ პროგრამა 24 სპექტაკლისაგან შედგებოდა. ფესტივალი მთლიანად მოიცავდა ხუთ დღეს, დღეში 4-5 სპექტაკლი თამაშდებოდა.

ათა თურქის უნიკალურ სასახლეს ორი ექვსასკაციანი დარბაზი გააჩნია დიდი სცენით. ძალიან საინტერესო, უნიკალური სასახლეა თავისი მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებით, საკონფერენციო დარბაზებით, ფესტივალის კონფერენცია – შეხვედრები იმართებოდა ნაზიმ ჰიჰმეთის სახელობის დარბაზში. აქვე არის ისტორიული თვალსაჩინოების დარბაზები, სადაც დინოზავრებიდან და ბროტოზავრებიდან დაწყებული ნახავთ თურქეთის ყოფა-ცხოვრებას, ევროპულ და აზიურ ნაწილს, პიროვნებების ფიგურებს...

სასახლეში მუშაობს უამრავი სექცია, ბავშვთა წრე, გასართობი ცენტრი...

აქ შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, ცნობილი თურქი ხელოვანების, მათ შორის დიდი თურქი დრამატურგის, ბატონი თუნჯერის დაჯილდოვება, რომლის პიესები საქართველოშიც იდგმება.

ჩვენ მოგვეცა საშუალება დავსწრებოდით ამ სასახლეში გამართულ აზერბაიჯანისა და სტამბულის თეატრების წარმოდგენებს, ვნახეთ სერბეთის ქუჩის თეატრის პერფომანსი ომისა და ძალადობის წინააღმდეგ, პირდაპირ ქუჩაში დადგმული, რაც ძალიან საინტერესო იყო.

ეს ფესტივალი იყო მალთეფეს დღესასწაული, მისი ცენტრალური უბნები მოიცვა საზეიმო ალღუმმა, რომელშიც ყველა თეატრი მონაწილეობდა შესაბამისი ტრანსპარანტებით. მათ სასულე ორკესტრი მოუძღოდა, საზეიმო სვლა დასრულდა შარდენის მსგავს მოედანზე.

ალღუმის შემდეგ იყო მიღება მერთან, გაიშალა საგანგებო სუფრა წარმომადგენლობისათვის. ფესტივალის გვირგვინი იყო, მერიის საჩუქარი - ოთხსაათიანი გასეირნება გემით ბოსფორის სრუტეში.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ფესტივალს ესწრებოდა მთელი თურქეთის თეატრალური ელიტა, კრიტიკოსები, ჟურნალისტები და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ჩვენს სპექტაკლს მათი და მაყურებლის დიდი მოწონება ხვდა წილად და ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს.

სხვათაშორის, ჩვენი თურქი კოლეგები იმითაც მოიხიბლნენ, როგორ შევძელით ჩვენ უზარმაზარი სცენის დაპატარავება და ჩვენზე მორგება.

სპექტაკლის შესანიშნავი წარგდინება გააკეთა თურქეთის ერთ-ერთმა ცნობილმა მსახიობმა, მაყურებლით სავსე იყო დარბაზი, რომელიც სულგანაბული ადევნებდა თვალს ქართულ სპექტაკლს. მსახიობებმა ძალიან კარგად ითამაშეს. ამხელა დარბაზში ეს სპექტაკლი აქამდე არასოდეს გამართულა.

სამწუხაროდ, ქართულმა ემიგრაციამ თავისი მძიმე შრომითი რეჟიმის გამო, მცირე რაოდენობით მოახერხა მოსვლა, დაახლოებით თხუთმეტმა ადამიანმა, აქედან რვა ოზურგეთელი იყო. თუმცა ბევრი შეგვეხმიანა.

სპექტაკლის ბოლოს ჩვენთან მოვიდა თეატრთმცოდნეები და ჟურნალისტები, მიგვიწვიეს ორ საერთაშორისო ფესტივალზე, მგზავრობის ხარჯების თავიანთ თავზე აღებით, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სპექტაკლის შესახებ გაშუქდა ტელევიზიებითა და გაზეთებით, მათ შორის გაზეთით, „**TIYATRO**".

რაც შეეხება თეატრის აწმყოს, ვმუშაობთ ზღაპრის პრემიერაზე შესანიშნავი პროექტის „თეატრი და სკოლა" ფარგლებში. ქალბატონი ლალი თაბაგარის სცენური ვერსიითა და რეჟისურით იდგმება „სიკეთის ჯადოსნური ძალა" „კონკიას" მიხედვით. დამდგმელი რეჟისორი მე გახლავართ. სპექტაკლის ძირითადი სათქმელია, რომ სიკეთეთით და სიძლიერით, გაუტეხლობით პრობლემები დაიძლევა. პრემიერა იქნება ოქტომბრის მეორე ნახევარში.

განვლილი 150-ე საიუბილეო სეზონი გვქონდა ძალიან წარმატებული, დატვირთული საუიბილეო და ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ორგანიზებითა და ღონისძიებებით.

გვაქვს დიდი მოლოდინი, რომ 2019 წლის ბოლოს შევალთ ახალ შენობაში, მანამდე ძირითადად ვაპირებთ ორი მიმართულებით მუშაობას - პროექტის „თეატრი და სკოლა" განვითარებასა და თეატრში თეატრალური სტუდიის დატვირთულ მუშაობას.

ვაცხადებ ხმამაღლა და მინდა ყველას ჰქონდეს ეს ინფორმაცია. დახმარებას ვითხოვ მის გავრცელებაში - **ვიწყებთ მსმენელთა მიღებას სტუდიაში, ველოდებით მე–8-12–ე კლასელებს, 14 წლიდან მოზარდებს, ვისაც აქვთ შესაბამისი ნიჭი და ინტერესი.**

პიროვნულად ვარ სტუდიის სათავეში, დავიხმარ კოლეგებს, სადღაც ოქტომბრის ბოლოს ველოდებით, რომ მეტყველების, თეატრალური სპეციალობების პედაგოგები ჩამოვა თბილისიდან, იქნება მასტერკლასები მეტყველებასა და სასცენო მოძრაობაში. წარჩინებული ბავშვები სპექტაკლებშიც დასაქმდება და ვინც გადაწყვეტს, რომ იცხოვროს თეატრით ჩვენგან ხელშეწყობით გააგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. ოღონდ, ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ ეს მისი საყვარელი საქმეა, სხვანაირად ძალიან გაუჭირდება.

ვაანონსებ რომ ვიწყებთ არა საბავშვო, არამედ საყმაწვილო სტუდიის გახსნას, სადაც სწავლა არის უფასო და არის შესაბამისი უმაღლესი განთლების მიღების გარანტია.

ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან ჩვენ დასს უდგას გაახალგაზრდავების პრობლემა. ვღებულობთ ახალგაზრდებს, მივიღეთ სამი ახალგაზრდა ვაჟი, ორი შტატგარეშედ, ერთი მათგანი სტუდიაში ჩავრიცხეთ.

გელით ახალგაზრდებო, შესაბამისი ნიჭითა და ფიზიკურ-მორალური გამძლეობით. თეატრი და ნიჭიერი ახალგაზრდობა ერთნი ვართ. ჩვენი კარი მუდამ ღიაა თქვენთვის.

ლია კილაძე,
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

ერთი ფოტოს ისტორია და შეხვედრა 40 წლის შემდეგ

ნონა გაფრინდაშვილი: „ჭადრაკი ჩემი ცხოვრების არსია... ნამდვილად ღირს ჭადრაკისათვის ცხოვრება"

ისტორიული მუზეუმის ფოტოფონდში ერთი საინტერესო ფოტო ინახება, რომელზეც აღბეჭდილი არიან ნონა გა-ფრინდაშვილი, გივი წითლიძე, ოლია შაირიშვილი და, როგორც მითხრეს, გრიშა კალანდარიშვილი, ასევე სხვებიც.

ფოტოს წარწერა არ ჰქონდა, ნონა გაფრინდაშვილი სრულიად ახალგაზრდა გივი წითლიძის გვერდით დგას და ხელში მანდარინის ასხმა უჭირავს. ფოტო საპატიო ადგილზე შევინახე.

სულ ახლახან ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილის ოზურგეთში სტუმრობის წინ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის „ნონას თასს" უმასპინძლა, რომელიც მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით დაწესდა და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საუკეთესო შედეგის მქონე ქვექანას გადაეცემა), მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა მარინა ჯაფარიძემ მითხრა მუზეუმში რაიმე შესაბამისი მასალები ხომ არ გაქვთო. ვუთხარი ხსენებული ფოტოს შესახებ. ჩვენ ეს ფოტო ქალბატონ ნონას ვანახეთ. როგორც გამოირკვა, ფოტო გადაღებული ყოფილა 1961 წელს, როცა ქალბატონი ნონა მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

შეხვედრაზე მყოფმა ქალბატონმა **ოლია შათირიშვილმა** მოიგონა: „ვივი წითლიძის ბაღში ორ-ორი მანდარინის ნერგი დავრგეთ, შემდეგ გივი წითლიძემ ოჯახში მიგვიპატიჟა ვახშამზე".

ოზურგეთელი ოლია შათირიშვილი, რომელიც, სხვა 16 მოჭადრაკე ქალთან ერთად, ხშირად მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატში, ქალბატონ ნონასთან წლების განმავლობაში მეგობრობდა. როგორც თვითონ თქვა, ბოლო 40 წლის განმავლობაში არ შეხვედრიან ერთმანეთს. შთამბეჭდავი იყო მათი ეს შეხვედრა.

ქალბატონი ოლია 91 წლისაა, წლების მანძილზე იყო №3 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე, არის საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი. ამჟამად პენსიონერია. 1960 წელს საბჭოთა კავშირის სოფლის სპორტსმენთა შორის საკავშირო შეჯიბრში გამარჯვებისათვის დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით.

ქალბატონმა ოლიამ მოიგონა ქუთაისში გატარებული ტურნირი და ნონას საპატივცემულოდ გამართული ბანკეტი, რომელზეც მოულოდნელად სიმღერით შემოსულა ეროსი მანჯგალაძე, სუფრის თამადაც გამხდარა და მთელი საღამო ჩვეული ოსტატობით წაუყვანია...

„ერთხელ ნონამ ზუგდიდში დავეპატიჟა ოჯახში, გამოვიდა მისი მამა ბატონი ტერენტი და ათვალიერებს ქალებს, ერთმა, ასაკით ყველაზე უფროსმა ქსენია გოგავამ შეეკითხა, ბატონო ტერენტი, რას ათვალიერებ ამ ქალებსო ,რძალი მინდა ავარჩიო, რძალიო (მოგეხსენებათ, ტერენტი გაფრინდაშვილის ექვსშვილიან ოჯახში ხუთი ვაჟი იყო). ბევრი ვიცინეთ, - გვითხრა ქალბატონმა ოლიამ.

ზეიმის დროს ქალბატონ ოლია შათირიშვილს მიუახლოვდა დავით შემოქმედელი (ტაკიძე) და ეუბნება:

- მე თქვენგან ვისწავლე ჭადრაკი.

- რა, თქვენ ჩემი მოსწავლე იყავით?

გვ-6

ერთი ფოტოს ისტორია და შეხვედრა 40 წლის შემდეგ

ნონა გაფრინდაშვილი: „ჭადრაკი ჩემი ცხოვრების არსია... ნამდვილად ღირს ჭადრაკისათვის ცხოვრება“

— არა თქვენ იყავით ყველაზე დიდი მოჭადრაკე ჩემთვის ჩემს ბავშვობაში.

ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა და ქალაქის მერმა, ბატონმა კონსტანტინე შარაშენიძემ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მხცოვან ქალბატონს.

იმ დღეს, ისევე როგორ ყოველი ოზურგეთელი, მეც ჭადრების ბაღში ვიყავი და საერთო ზეიმში თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი, ქალბატონ ნონასთან სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ. იყო ბევრი მისასალმებელი სიტყვა, ყვავილები. ერთმა გამომსვლელმა მისალმება დაამთავრა სიტყვებით: ,,ნონა მთელი საქართველოს სიამაყეა!“ დიახ, ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს სიამაყე და ღირსეული ქალბატონია.

ერთხელ კიდევ შევახსენებ მკითხველს ნონას სახით მსოფლიოს ქალთა ჭადრაკს უნიჭიერესი მოთამაშე მოევლინა, მან დაანახა მსოფლიოს, ქალებსაც შეუძლიათ ჭადრაკის უმაღლეს დონეზე თამაში.

ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ პირველი დიდოსტატი ქალი, პირველი ხუთგზის ჩემპიონი ქალი, ქალთა საჭადრაკო ოსკარის პირველი მფლობელი...ცხრა პირადი ოლიმპიური ოქროს მომპოვებელი და სხვა მრავალი რეგალიების მფლობელი.

იმედი მაქვს, მომავალში ჩვენი მუზეუმის ექსოზიციაში საპატიო ადგილს დაიჭერს ამ ზეიმის ამსახველი მასალები.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მეხუთე კონფერენცია

თბილისში საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მეხუთე კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქალები დაესწრნენ.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვებით წარდგნენ პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, ასევე უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია.

გაიმართა დისკუსია თემებზე: გენდერული თანასწორობის მექანიზმები ადგილობრივ თვითმმართველობაში, ეკონომიკის განვითარება და სკოლამდელი განათლების რეფორმის მიმდინარეობა.

საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმი 2013 წელს საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციასთან თანამშრომლობის გზით შეიქმნა.

ღონისძიება საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის ორგანი-ზებით (**MSPA**), გაეროს განვით-არების პროგრამის მხარდაჭერით (**UNDP**) გაიმართა. დაფინანსდა შვედეთის მთავრობის, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა (**ADA**) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (**SDC**) მიერ.

სკანვორდი



№ 36-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - გიორგი ლეონიძე; ,,მელოტი“ ტბა - ლისი; რიცხვი - ორი; თეფში — სენი; მინერალური წყალი - მიტარბი; ქალაქი რაჭაში - ონი; კუნძული, სადაც იცინიან - სიცილია; მექალთანე - მუსუსი; აღმოსავლური ორთაბრძოლა - უშუ; აშშ-ს მსახიობი პრეზიდენტი - რეიგანი; კორნელი - კუთხური; ერეკანი - ანისი; გორგასლის ქალაქი - თბილისი; ვეერანი — საიგაკი; ქიმიური ჭურჭელი - სინჯარა; უნგრული ავტობუსი - იკარუსი; მძიმეწონიანი რუსი ჰოკეისტი - რაგულინი; სოფელი სამეგრელოში - ლია; მოჩხუბარი მამალი - ძიძგილა; შრიფტის სახეობა - ნონპარელი; მამაკაცის სახელი — აკა; კოჭლი - ხეიბარი; ვაჟი - ძე; პატარა ზომის ფრინველი - ალალი; ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი - ურალი; დაბალი ხარისხის ბენზინი - რეგულარი; რიგითი ჯარისკაცი ჭადრაკში — პიკი; დედამიწის თაღი - ცა; ლიანდაგის რკინა -რელსი; ცეცხლის ენა - ალი; ქირაგნობა - იჯარა; ქალის სახელი - ელენე; საბზრიალა - ჩიკორი; იტალიელი მომღერალი - კარა; განთიადი - აისი; ... ლისაშვილი - იაკინთე; ზღვის პეზაჟი - მარინა; დიდი ისტორიული მონაკვეთი — ერა; შრომა - ვაჟა; თმის საღებავი - ინა

სულთათანა

ზინა სალუქვაძის ხსოვნას

სულ ორიოდე დღის წინ ოზურგეთის საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა ჩვენი ქალაქის კოლორიტი, ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი ქ-ნი ზინაიდა სალუქვაძე.

ზინაიდა ვლადიმერის ასული სალუქვაძე დაიბადა 1921 წლის 27 ივლისს. 1939 წელს დაამთავრა ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) პედაგოგიური სასწავლებელი. 1944 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ.მახარაძის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგედ. 1956 წელს ქ.მახარაძის 2 ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად, ხოლო 1962 წლიდან 2006 წლის ბოლომდე ამ ბიბლიოთეკის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. 2007 წლიდან მე-2 საქალაქო ბიბლიოთეკა წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლას გადაეცა და ქალბატონმა ზინამ იქაც გამგის სტატუსით გააგრძელა მუშაობა.

ქ-ნი ზინა საბიბლიოთეკო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში აღიარებული იყო ყველა დროის საუკეთესო ბიბლიოთეკარად, საბიბლიოთეკო დარგის მუშაკთა შორის, მთელი საქართველოს მასშტაბით. იყო (მაშინდელი მახარაძის) რაიონული კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი. ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი სიყვარული, შრომისმოყვარეობა, მიზანმიმართული და ენერგიული საქმიანობა დაკავშირებული იყო ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებასთან, ინოვაციებისა და გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვასთან. ქ-ნი ზინაიდას წარმატებები მთავრობის არაერთი ჯილდოთი იქნა აღნიშნული: საკავშირო და საქართველოს კულტურის სამინისტროების სიგელები, მედლები, ღირსების ორდენი, საგაზეთო პუბლიკაციები თუ სატელევიზიო გადაცემები აქტიურად ეხმაურებოდა მის საქმიანობას. ქ-ნი ზინაიდა იყო „წარჩინებული ბიბლიოთეკარი“, „საპატიო ბიბლიოთეკარი“, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ღირსების ორდენის მფლობელი, ოზურგეთის საპატიო მოქალაქე. გარდაცვალებამდე იყო სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის აპარატთან მოქმედი საზოგადოებრივი დარბაზის წევრი.

ქ-ნ ზინას არ ჰყავდა საკუთარი ოჯახი და მთელი მისი ცოდნა და ამოუწურავი ენერგია საყვარელ საქმიანობას, წიგნის პროპაგანდასა და მკითხველებთან ურთიერთობას შეალია. მისი განსაკუთრებული პიროვნული თვისებები არის მაგალითი ნამდვილი პროფესიონალის, მოკრძალებული და ამავე დროს ავტორიტეტიანი ქალბატონისა, რომელიც 74 წლის განმავლობაში, 97 წლის ასაკშიც ენერგიულად აგრძელებდა მუშაობას და მომავლის გეგმებზე საუბრობდა. გასაოცარი მეხსიერებისა და მისთვის დამახასიათებელი საუბრის მანერის წყალობით სიცოცხლის ბოლომდე აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა-და მუდმივად იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

მიუხედავად ასაკისა, იმდენად მხნედ იყო, თითქოს გაგვიკვირდა კიდეც მისი გარდაცვალება... თუმცა რეალობა ასეთია, ჩვენს ზინულიას კეთილმა გულმა უღალატა...

ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული...

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, მეგობრები

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარის **ზინა სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გამსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ვიქტორ გობრონიძეს დედის, **მარია გობრონიძის** გარდაცვალების გამო.

ჩოგბურთი

გამარჯვება „მამონტებმა“ მოიპოვეს

ოზურგეთის ცენტრალურ კორტზე რაიონული ჩემპიონატი გაიმართა ჩოგბურთში წყვილთა შორის.

საფინალო მატჩში, წყვილთა შორის ერთმანეთს, ჩავლეშვილი - კილაძისა („მამონტები„) და სიამაშვილი - მამალაძის („აკადემიკოსები„) დაუპირისპირდნენ.

დაძაბულ და საკმაოდ სანახაობრივ ბრძოლაში ორ სეტში 6-2, 7-6 (ტაიბრეიკით 8-6) ჩავლეშვილი -კილაძის დუეტმა სიამაშვილი მამალაძის წყვილს სძლილეს და ოზურგეთის ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად მოიპოვეს.

გამარჯვებულ ჩოგბურთელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის, გელა შაფაქიძის და მისი მოადგილეების, რევაზ ჭელიძისა და ზურაბ დოლიძის მიერ დაწესებული პრიზები, თასები და მედლები გადაეცათ.

ფინალისტებს პრიზები და საჩუქრები შარშანდელ რაიონულ ჩემპიონატში გამარჯვებულმა, დავით გოგოტიშვილმა და გურიის ყველაზე ტიტულოვანმა ჩოგბურთელმა, ირაკლი გელაშვილმა გადასცეს.

ფინალური მატჩი იმსაჯა დავით გოგოტიშვილმა, რომელსაც მოგვიანებით გადაეცემა მსაჯისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი.

უახლოეს დღეებში ოზურგეთის კორტებზე სტარტს აიღებს რაიონული საჩოგბურთო ტურნირი, ერთეულთა თანრიგში.

ოზურგეთის ისტორიის ფურცლებიდან

ოსმალები ოზურგეთში და ვაშნარში დაღუპული ლანჩხუთელი ბიჭები

1918 წლის მარტში ოსმალებმა შემოიჭრნენ გურიაში დაიკავეს სოფლები: ჭანიეთი, ლიხაური, მაკვანეთი, თვით ოზურგეთი, რამდენიმე დღეში წინ წაიწიეს,მელექედურის, გურიანთის, მერიის და ნატანების მიმართულებით. მოსახლეობა იძულებული გახდა მოშორებულ სოფლებში და ტყეებში გახიზნულიყო.

შეიქმნა მოხალისე შეიარაღებული რაზმები, რომლებიც წინ აღუდგნენ უცხოელ დამპყრობლებს. ბრძოლაში ჩაებნენ ქართული ჯარის ნაწილები. აპრილის პირველ რიცხვებში სამკვდოსასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა ვაშნარის ველზე, მოძმეთა დასახმარებლად გამოეშურნენ ლანჩხუთლები . სოფლების: ჯუმათის, ჯურუყვეთის ,ხაჯალიას, ჯუნაგორას, ჩოჩხათის ახალგაზრდები, რომლებიც ახალდაბრუნებულები იყვნენ თურქეთის ფრონტებიდან, იარაღი აისხეს და ბრძოლაში ჩაებნენ, მარტო ჩოჩხათიდან 38 კაცისაგან შემდგარი რაზმი ჩაება ბრძოლაში პირველი შეტაკება მოხდა ვაშნარის ველზე, რაზმს ხელმძღვანელობდა **იაგორ და აქვსენტი გურგენაძეები**. მეორე დღეს, 10 აპრილს ლანჩხუთლები ვაშნარის ველზე ჩასაფრებულ მტერს გადააწყდნენ. ამ დღეს უთანასწორო ბრძოლაში 36 ლანჩუთელი ვაჟკაცი ბრძოლის ველზე დაეცა.ესენი იყვნენ: **ივანე, სოლომონ, კლიმენტი მოსე გუჯაბიძეები, მელიტონ, დათიკო, კასიანე, პლატონ, გიორგი, ბებურ , ვანო, კალისტე, ნესტორ, თემური გურგენაძეები, ივტიხი, სერგო, ვასო ვლადიმერ, ვალია, ბათლომე, ვლასი, მოსე, ლავრენტი, სიმონ, გაბრიელ ნესტორ ტიკარაძეები,ვიქტორ ჩხარტიშვილი, კოლია, ლადიკო ტულუშები, გრიგოლ სარჯველაძე, იაკინთე როყვა მუჰამედ (მიხაკო) თვიროლი, დიმიტრი ხომერიკი, სოლომონ მშვიდობაძე.**

ეს იყო ოსმალოების უკანასკნელი გაბრძოლება, რაც მტრის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა .როგორც აღწერილი არის მომდევნო დღეებში ლანჩხუთიდან ჩაოვიდნენ დაღუპულთა ჭირისუფალნი დაიტირეს ბრძოლის ველზე დაცემული ახლობლები და იქვე მიაბარეს სამუდამო სავანეს საძმო საფლავს გაუკეთეს უბრალო ხის მოაჯირი ჯვრით და შემდეგი წარწერით: *„1918 წელს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ძმათა სასაფლაო“*.ამ ბრძოლის მონაწილე მხოლოდ ერთი კაცი ვ**ასო გურგენიძე** გადარჩენილა, რომელიც მეოცე საუკუნის ოთმოციან წლებში ცოცხალი იყო. რომელსაც კარგად ახსოვდა ვაშნარში გამართული ბრძოლის სურათები და იქ დაღუპული მებრძოლები.ხოლო ამ ბრძოლაში მელიტონ გურგენიძის დას, დესპინე გურგენიძე-სარიშვილს მონაწილეობა მიუღია როგორც თავის ძმის ასევე სხვების დაკრძალვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალოების განადგურებაში ლომის წილი **ვალოდია გოგუაძეს** მიუძვის, რომლის ჯავშნოსანი მატარებელი შიშის ზარს სცემდა ყოველი მხრიდან შემოსეულ დამოუკიდებელ საქართველოს მტრებს, მან მუსრი გაავლო ნატანებამდე მოსულ ოსმალებს.სწორედ ამ ბრძოლის წინ მომხდარა ერთ საგულისხმო ამბავი , გურამ შარაძე წიგნში „დაბრუნება“ გადმოგვცემს ვალოდია გოგუაძის მოგონებას: „...*5 აპრილს ნატანებში ჩამოვიდა ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი ,ვლასა მგელაძე და სხვანი,ისინი კარაბინით იყვნენ შეიარაღებულნი და მთხოვეს ჯავშნოსანზე მეომრად მიგვიღეო, ნატანებში ბევრი გურული ჩამოვიდა და მიტინგზე ირაკლი წერეთელს სთხოვეს სიტყვა წარმოეთქვა.წერეთელმა უარი განაცხადა: მე ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანზე ჩავწერე მეომრად და ახლა მტერს კარაბინით უნდა ველაპარაკოო, სამაგიეროდ მე თვითონ მთხოვა შენ ელაპარაკე ხალხო*“.(გურამ შარაძე „დაბრუნება“ 1992წ.გვ.451-452).

მანანა ლომაძე
ოზურგეთის საისტორიო
გაერთიანების ფონდების
მთავარი მცველი.

„ექვთიმეობა“ –2018 გაიმართა

28 სექტემბერს, სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში მოეწყო ექვთიმე ღვთისკაცისადმი მიძღვნილი საღამო სახელწოდებით „გაუტეხელი მებრძოლი - წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი.“

შემდეგ ლიხაურის კულტურის სახლში გაიმართა ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო ოზურგეთის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის კულტურის განყოფილება.

თუშიშვილი: ყველა ბრძოლა რთული იყო, განსაკუთრებით კი ფინალი!

ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ორი დღე ქართველი სპორტსმენებისთვის წარმატებული გამოდგა. +90 კგ. წონით კატეგორიაში ვარლამ ლიპარტელიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო მძიმე წონაში, **გურამ თუშიშვილი** ოქროს მედალს დაეუფლა. ძიუდოს ქართველი გულშემატკივრები ყველაზე მეტად თუშიშვილმა გაახარა, რომელიც თბილისში დაბრუნდა და შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, რადგან ამისთვის ბევრი ვიშრომე. წინა ჩემპიონატზე ტედი რინერთან წავაგე, რომელიც წელს არ მონაწილეობდა ტურნირში და შესაბამისად, მეტი შანსი მქონდა. მადლობა ყველას, ვინც გვერდში მედგა, განსაკუთრებით კი გულშემატკივრებს.

მართალია ყველა შეხვედრა იპონით მოვიგე, მაგრამ თითოეული ორთაბრძოლა ძალიან რთული იყო, განსაკუთრებით კი ფინალი. უშანგი კოკაური აზერბაიჯანის სახელით ასპარეზობს, თუმცა ქართველია და ბრწყინვალედ იჭიდავა. ფსიქოლოგიურადაც რთული ბრძოლა იყო. საბედნიეროდ, გავიმარჯვე.

შეკითხვაზე, როგორ შეაფასებდა გურამ თუშიშვილი ფედერაციაში მიმდინარე პროცესებს, უპასუხა:–„რაც შეეხება საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებს და იმ ფაქტს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დავით ქევხიშვილი აპირებს მონაწილეობას, ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ამ პროცესებში არასდროს ვერეოდი. გუნდი ერთიანია, ჩვენ ერთად ვიზეიმეთ წარმატება და თუ დღეს ეს არ ჩანს, ხვალ აუცილებლად გამოჩნდება”.

თევზის ფხით შექმნილი ხელოვნება

თემურ მარშანიშვილი

საოცარი პიროვნებაა კვირიკეთის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ქალბატონი მერი კეჭაყმაძე. ზუსტად ნახევარი საუკუნეა, რაც ის ამ სკოლაში უწყვეტად მოღვაწეობს და, გარდა პედაგოგობისა, მეტად საინტერესო საქმიანობას ეწევა ისეთ რთულ დარგში, როგორიც არის სახვითი ხელოვნება.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მერი კეჭაყმაძის რამდენიმე ნამუშევარი („ვაშლი და შაქარა“, „დედა ენის ძეგლი“) წლების წინ ხელოვნების ამ დარგის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში მოქცეულა, გაუტანიათ გამოფენებზეც – გალერეაში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, „ექვთიმეობაზე“, რაც პირველ აბზაცში დავწერე ამ ქალბატონის ჰობზე, სულაც არ არის სიახლე.

ცინცხალი ამბავი ის გახლავთ, რომ ქალბატონმა მერიმ ახალი ნამუშევრები შექმნა, არც მეტი, არც ნაკლები, თევზის ფხისა და ქერცლის გამოყენებით(?!).

„ინსტიტუტში სწავლისას კურსელებისგან თუ რამით გამოვირჩეოდი, ის იყო, რომ მათზე უკეთესად ვხატავდი, მაგრამ ამ საქმეს სერიოზულად არასდროს შევდგომივარ, უბრალოდ გატაცებული ვიყავი. ადრე სხვადასხვა ბუნებრივი მასალით ვმუშაობდი, რა არ გამომიყენებია – ხე, ფოთოლი, ტოტი, გირჩი, ძაფი, ნიჟარა, სხვადასხვა ქსოვილი, მერე რატომღაც დავინტერესდი თევზის ხერხემლისა და ფხების სტრუქტურით, რომელიც გამოვიყენე პალმის ვარჯის შესაქმნელად. კომპოზიციაში „სანაპირო“, რომლითაც თქვენ ასე დაინტერესდით, ამ ორ კომპონენტთან ერთად, მხოლოდ თევზის ქერცლია გამოყენებული და, ჩემი აზრით, ნამუშევარი ურიგოდ არ გამოიყურება“, – გვითხრა ქალბატონმა მერიმ.

სასწაულად მიგვაჩნია ის, რომ ქალბატონმა მერიმ თევზის ფხა, ასე ვთქვათ, გააჰარმონიულა კიდეც, როცა მისგან მუსიკალური ნოტები შექმნა.

ვერ გეტყვით, რომ კვირიკეთის საჯარო სკოლის იმ საკლასო ოთახში, სადაც მერი კეჭაყმაძის აღსაზრდელები ცოდნას ეუფლებიან, ხელოვანი ქალის საინტერესო კოლექციას, უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს (ისე, რატომ არ უნდა ჰყავდეს?!), მაგრამ ვისაც ეს ნამუშევრები უნახავს, ყველა აღტაცებულა. რა ბედნიერებაა, რომ თავიანთი მასწავლებლის შემოქმედებას თითქმის ყოველდღიურად ხედავენ მერი კეჭაყმაძის მდიდარი ფანტაზიით გამორჩეული მოსწავლეები!

კვირიკეთის საჯარო სკოლის დირექტორის ნათია მიქელაძისა და პედაგოგების თქმით, ეს საკლასო ოთახი და მერი კეჭაყმაძის ნამუშევრები მშობლიური სკოლის ერთგვარი სავიზიტო ბარათია.

ევროპის სპორტული კვირეული ოზურგეთში

ოზურგეთში, ჭადრების ბაღში, ევროპის სპორტული კვირეული სამი სპორტული სახეობით - მკლავჭიდით, ფარიკაობითა და ტაიკვანდოთ გაიხსნა.

აღნიშნული სპორტული სახეობების - სექციის, ფედერაციისა თუ კლუბის წარმომადგენლებმა, რომელსაც სპორტულ-გამჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება აერთიანებს, მინი შეჯიბრებები და საჩვენებელი ვარჯიშები, ღია ცის ქვეშ გამართეს.

ოზურგეთი ევროპის სპორტულ კვირეულს აქტურად გამოეხმაურა. 24 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩავლით მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ასპარეზობები მოეწყო.

ევროპის სპორტული კვირეული ფართომასშტაბიანი გარბენით დასრულდა.

სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეებს სიგელები გადაეცემათ. ევროპის სპორტული კვირეული განათლების , კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით ჩატარდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +18+28	მზე ღრუბელი +15+26	ღრუბელი +12+21	მზე, ღრუბელი +12+25	ღრუბელი +12+19	მზე, ღრუბელი +13+20	მზე, ღრუბელი +13+20
1 ოქტომბერი ორშაბათი	2 ოქტომბერი სამშაბათი	3 ოქტომბერი ოთხშაბათი	4 ოქტომბერი ხუთშაბათი	5 ოქტომბერი პარასკევი	6 ოქტომბერი შაბათი	7 ოქტომბერი კვირა